პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

9 აგვისტო, ხუთშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისი დან ● № 186 (15703)

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘ—ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲨᲘ!

ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲙᲘᲠᲝᲕᲣᲚᲘ“ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში მუშებს დავალებები ეძლევათ ნორმა-საათების მიხედვით. ეს უფრო ეფექტურს ხდის სოციალისტურ შეჯიბრებას და სამუშაო დროის ეკონომიას იძლევა. ამ სიახლეს „კიროვული“ უწოდეს. გაეცანით, საინტერესოა!

ᲐᲛ ᲔᲥᲕᲘᲗᲘᲡᲓᲦᲔ თვის წინათ კიროველებმა მეტად საინტერესო ექსპერიმენტი განახორციელეს № 8 საამქროს მეთოხე უბანზე. მოსკოვის ქარხანა „დინამოს“ მაგალითისამებრ უბნის 22 მუშას ცალ-ცალკე მისცეს კონკრეტული დავალებები. ფაქტიურად ეს დავალებები ახალი სოციალისტური ვალდებულებები იყო, მაგრამ მუშები მათს შესრულებას „ბრმად“ როდი შეუდგნენ. თვითეული ზედმიწევნით კარგად იცნობდა სამუშაო დავალებას, დასახული ჰქონდა კონკრეტული პროგრამა მისი განაღდებისათვის.

ამ ვალდებულებებში აისახა ინდივიდუალური მომუშავის პირადი ინიციატივაც და ნოვატორული აზრიც, პასუხისმგებლობაც და მონდომებაც. ამიტომ უბანზე ინდივიდუალური შეჯიბრება მეტად საინტერესოდ წარიმართა.

პირველივე თვის მუშაობის შედეგები საუკეთესო იყო. უბნის ყველა მუშამ არათუ დაიცვა მეტად დაძაბული გრაფიკი, არამედ მას ბევრად გაუსწრო კიდეც. ამიტომ უბანმა ხუთწლედის დავალების 3,5 წელიწადში შესრულების ვალდებულება იკისრა, რადგან მან უკვე გამონახა შრომის ნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთი დიდი რეზერვი.

— მეთოხეუბნელთა მუშაობით სხვა საამქროებშიც დაინტერესდნენ, — თქვა ზვენთან საუბარში ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. შარაბიძემ, — და მოკლე ხანში პირადი დახუსტებული ინდივიდუალური გეგმით მომუშავე მუშათა რიცხვი ქარხანაში 300-მდე გაიზარდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მარტო საამქროს კოლექტივის მიერ განხორციელებული სიახლე ეკონომიენტიდან მნიშვნელოვან ღონისძიებად იქცა. უფრო ქმედითი გახდა ინდივიდუალური შეჯიბრება, ამაღლდა მუშათა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, მინიმუმამდე შემცირდა სამუშაო დროის მოცდენები.

მაგრამ მარტო ეს სიკეთე როდი მოიტანა ამ საამქროს კოლეფიკაციის მუშას ეჯიბრება, შედარებით ნაკლები კვალიფიკაციის — შედარებით ნაკლებ ა. შ. ეჯიბრება სულ ხუთი კატეგორიის მუშებს შორის გაიმართა.

„კიროველთა“ ამ ძუთოდით მუშაობა და შეჯიბრება საამქროს კოლექტივს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად გამოიყენოს სამუშაო დრო, გაზარდოს შესრულებული ნორმა-საათების რაოდენობა, სრული დატვირთვით იმუშაოს ყოველ ცვლაში. ახლა საამქროს კოლექტივი თვეში 58-60 ათას ნორმა-საათს ასრულებს, მაშინ ეს მაჩვენებელი მხოლოდ 50 ათას ნორმა-საათს უდრიდა.

№ 8 საამქროს (უფროსი თ. ბაიშაძე) მერვე უბანი, რომელსაც ინალგაზრდა ჩარხშენებელი ჯ. თოდურია ხელმძღვანელობს, ქარხანაში ბევრი მნიშვნელოვანი საიტლის წამომწყებია. მაგრამ მის კოლექტივს სხვათა გამოცდილებაც ბევრჯერ გამოსადეგი და წარმატებით დაუნერგავს. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ უბნის მუშებმა პირველებმა დაუჭირეს მხარი საწარმოს სახელოვანი ხარატის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის **ზ. ხარალიძის** ინიციატივას, რომლითაც იგი გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეათე პლენუმზე. ნოვატორმა ხარატმა თავისი მუშაობის გამოცდილებით დაამტკიცა, რომ თუ ქარხნის კოლექტივი მაქსიმალურად გამოიყენებს სამუშაო დროს, შესძლებს ყოველწლიურად ნორმატებით გამოუშვას 20 ჩარხი. ზ. ხარალიძემ ვალდებულება აიღო **ყოველდღიური დავალებები ერთი საათით ადრე შესრულოს და დაზოგილ საათში შექმნას ზეგეგმითი პროდუქცია.**

— „კიროველი“ მეთოდით მუშაობის დროს, როცა დავალებები ნორმა-საათების მიხედვით გვეძლევა, — გვითხრა № 8 საამქროს მეოთხე უბნის ნოვატორმა მრანდავამ, „კომუნისტური შრომის დამკვრელმა **გ. გარსევანიშვილმა,**— ჩვენი სახელოვანი ხარატის ვალდებულება სავსებით რეალურია. ყოველდღიური დავალებების ერთი საათით ადრე შესრულება თვითეულ მთგანს შეუძლია. მარტო ჩვენს უბანზე ზ. ხარალიძის მოწოდებას გამოეხმაურნენ მოლარავი კ. კუტუბაძე, მრავალი ჯ. მილორავა, მოარავი ვ. ირემაშვილი, ხარატი შ. დოლიძე. ვფიქრობ, მალე მთელი უბანი ჩაებმება საამქროო დროის ეკონომიისათვის გაშლილ ამ ახალ შეჯიბრებაში.

მაგრამ არა მარტო მერვე საამქროს ამ უბანზე, არამედ ქარხნის თითქმის ყველა უბანზე სერიოზულად ფიქრობენ სამუშაო დროის მაქსიმალურად გამოყენების, ზეგეგმათა პროდუქციის ოამზადების ისევ დიდ რეზერვზე, როგორიც დაგეგმილი ნორმა-საათების ვადაზე ადრე შესრულებისა და დარჩენილი დროის — ქარხნის პროდუქციის შესაქმნელად გამოყენების ეს ახალი რეზერვია. და როცა კიროველები ეძიებენ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზებს, ერთი წუთითაც არ იკიდებენ, რომ ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად აუცილებელია მტკიცე შრომითი და საწარმოო დისციპლინა, მაღალი პირადი პასუხისმგებლობა, ზრუნვა ხარისხიანობის ამაღლებისათვის. საჭიროა დროულად აღმოიფხვრას სამუშაო დროის უმიზეზოდ გაცდენის, სამუშაოზე დაგვიანების, ეერიშობანას შემთხვევები, რასაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ადგილი აქვს საწარმოს ბევრ რგოლში.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲔᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ. მან, რაც მთავარია, მეტი სტიმული მისცა მუშის შრომას, გაზარდა გამომუშავება, ამასთან იგი „აიძულა“ მეტი ყურადღება დაეთმო პირადი დაოსტატებისათვის, რამაც ცხადია, საბოლოოდ დადებითად იმოქმედა პროდუქციის ხარისხზე. ამ უბნის ყოველი მუშა თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი გახდა, სრულყოფილად დაეუფლა ყველა მონაწილე პროფესიას.

მეთოხეუბნელთა ინიციატივა საწარმოში მალე გავრცელდა. პირადი დაუსტებული ნორმა-საათობრივი გეგმებით მუშაობას შეუდგნენ გამოცდილი მუშებიც, ახალბედებიც. და ყველგან, სადაც კი იგი დანერგეს, პირადი ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საქმე საგრძნობლად გაუჯანსაღა. ამან, რა თქმა უნდა, აამაღლა საწარმოს საერთო ეკონომიური მაჩვენებლებიც. საამქროებში შრომა რიტმული გახდა, დეტალების დამზადებისა თუ აწყობის ოპერაციებზე ახლა შედარებით ნაკლები დრო იხარჯება, ვიდრე ადრე იხარჯებოდა.

დროის ეკონომიასთან, ინდივიდუალური შეჯიბრების ფორმით დანერგვით კიროველებმა გადაჭარბებით გაანაღდეს შვიდი თვის დავალება, გეგმის გადამეტებით დაამზადეს 395 ათასი მანეთის პროდუქცია და ვალდებულებები გათვალისწინებული 10 ჩარხის ნაცვლად წლის დასაწყისიდან გამოუშვეს 21 ზეგეგმითი ჩარხი, შრომის ნაყოფიერების ზრდის მაჩვენებელმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 7,5 პროცენტი შეადგინა, დაიზოგა დიდძალი მასალები და ნედლეული, 58 ტონა შავი ლითონი, 63 ტონა სათბობი, 663 ათასი კილოვატსაათი ელექტრონერგია.

მაგრამ კიროველები მიღწეულს არასდროს სჯერდებიან. ბრიგადა ნაყოფიერების გადიდებისათვის რეზერვების ძიებას განაგრძობდნენ და დღესაც განაგრძობენ. მათ შემოქმედებითად გადამუშავეს ე. წ. „დინამოს“ მეთოდი, კიდევ უფრო ეფექტური გახადეს იგი და მას **„კიროვული“ მეთოდი უწოდეს.**

რაში მდგომარეობს მუშაობის ამ ახალი მეთოდის არსი?

მერვე საამქროს ყველა მუშას მიეცა დღის, დეკადის, თვის კონკრეტული დავალებები ორა პროცენტებში, ორამდე ნორმა-საათების მეზეგდეთ. ამ დავალებათა მიცემის დროს გითვალისწინეს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები, როგორც ქარხნის, ისე საამქროს მასშტაბით. მაგალითად, მოწინავე მუშებს წლიური, კვარტალური, თვიური, დეკადური, ღიღური დავალებები რომ მიეცათ, შესასრულებელი ნორმა-საათების რაოდენობის ეგ დადგენა მოხდა ქარხნის შრომის ნაყოფიერების წლევანდელი ზრდის ტემპის გათვალისწინებით და ასე დადგინდა დაძაბული პროგრამა ყველა მოწინავე მუშისათვის.

კიროველებმა საინტერესო ფორმა გამონახეს ამ ახალი მეთოდით გაშლილი ინდივიდუალური შეჯიბრებებს წარმოებისათვისაც. შეჯიბრება ახლა ე. წ. „აკტგორიების მიხედვით“ მიმდინარეობს. თუ ადრე ყველანაირი კვალიფიკაციის მუშები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ახლა ისინი კატეგორიებად დაყვნენ — მაღალი კვალიფიკაციის მუშა თავისი დონის კვალიფიკაციის მუშას ეჯიბრება, შედარებით ნაკლები კვალიფიკაციისა — შედარებით ნაკლებ და ა. შ. ეჯიბრება სულ ხუთი კატეგორიის მუშებს შორის გაიმართა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ X ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ—ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ!

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲮᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲔᲫᲚᲔᲕᲐᲗ ᲜᲝᲠᲛᲐ-ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ. ᲔᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲮᲓᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐᲡ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ. ᲐᲛ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲡ „ᲙᲘᲠᲝᲕᲣᲚᲘ“ ᲣᲬᲝᲓᲔᲡ. ᲒᲐᲔᲪᲐᲜᲘᲗ, ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ X ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ—ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ!

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ

თბილისი. ავვალის შუშის ქარხნის (დირექტორი გ. ჭელიძე) კოლექტივი გაბედულად მიიწევს წინ ხუთწლედის მოჯნების დასაპყრობად. მეშუშეებმა წლის პირველი ნახევრის გეგმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით ვადამდე გადაჭარბებით გაანაღდეს. განსაკუთრებით კარგ წარმატებას მიაღწიეს მეორე კვარტალში. მიღწეული შრომითი მაჩვენებლებით გაიმარჯვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოიპოვეს სსრ კავშირის კვების მრეწველობისა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

წლის მეორე ნახევარში მეშუშეებმა კიდევ უფრო გააუმჯობესეს შუშაობა. ნატურპროდუქციისა და ნაერთო პროდუქციის შვიდი თვის დავალება 22 ივლისისათვის შეასრულეს, გეგმის გადამეტებით 104 ათასი ცალი ბოთლი გამოუშვეს, პროდუქციის რეალიზაციის დავალება განაღდებულია 100,4 პროცენტით.

□

ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

ᲓᲦᲔᲡ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის უკანა სამშენებლო სამმართველოსა თუ უბანში დიდი შრომითი ენთუზიაზმით შრომობენ მეცხრე ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა ვადაზე ადრე განაღდებისათვის.

უკვე შეჯამდა ივლისში მუშაობის შედეგები. ჰიდროშენებლებმა ნაკისრი ვალდებულება წარმატებით გაანაღდეს. შვიდ თვეში ენგურჰესელებმა 17 მილიონ 500 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულეს და გეგმა დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს. გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალ შრომითს წარმატებებს მიაღწიეს კაშალშენის (უფროსი ა. ბინეკი), ძალოვანი კვანძის (უფროსი უ. გოკიაშვილი), გვარაბმშენის (უფროსი — სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გ. წულეიხირის), ვარცხეპენის (უფროსი ო. ჭინჭარაული) სამმართველოთა კოლექტივებმა.

Ლ. ᲑᲐᲠᲥᲐᲘᲐ.

„კომუნისტის“ საგუშაგოს უფროსი ენგურჰესის მშენებლობაზე.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

„ᲡᲐᲥᲐᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ“

ტრესტის კოლექტივმა ივლისის კვლავ წარმატებით ანაღდებენ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის, დავალებებს.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შედეგებით სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის საინისტროს კოლეგიამ და ნსკფთის, ქიმიური და გაზის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტის პრეზიდიუმმა „საქსამთოქიმრეწის“ ტრესტს კვლავ მიანიჭეს მეორე ადგილი სოციალისტურ საბრძოლო ფულადი პრემია.

(საქინფორმი).

ᲥᲘᲛᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲒᲕᲙᲘᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ რეზინის ტექნიკური ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივი (დირექტორი შ. სანიკიძე), რომელიც კრასნოდარის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივს ეჯიბრება, პირნათლად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. შვიდი თვის პროდუქციის რეალიზაციის გეგმა 112,5 პროცენტით არის შესრულებული, ე. ი. გეგმის ზევით რეალიზებულია 297 ათასი მანეთის პროდუქცია. ზეგეგმითმა მოგებამ 246 ათასი მანეთი შეადგინა, შრომის ნაყოფიერება 2 პროცენტით გაიზარდა, პროდუქციის თვითღირებულება 1,3 პროცენტით შემცირდა.

ქარხნის კოლექტივმა გადასინჯა თავისი შესაძლებლობანი და გადაწყვიტა წლიური გეგმა ნაცვლად 26 დეკემბრისა შეასრულოს 20 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გამოუშვას დიდძალი ნაწარმი.

Ი. ᲒᲣᲨᲐᲘᲫᲔ.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ამწესამშენებლო ქარხნის ელექტროშემდუღებლები, კომუნისტური შრომის დამკვრელები ვლადიმერ ალადაშვილი და ბიზეულ ბოგდანოვი სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი არიან, სიხარტატურად მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ, მათ პირადი დამღა მიეცეს და ამგვარად ტექნიკური კონტროლის განუყოფელების გარეშე მუშაობენ. ახლა ისინი საზღვარგარეთ გახაგზავნად ამზადებენ ახალ ამწეს. **ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ:** რუსთავის ამწესამშენებლო ქარხნის ელექტროშემდუღებლები ვ. ალადაშვილი და გ. ბოგდანოვი.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲙᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲩᲐᲘᲗᲗᲐ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ

სოხუმი, 7 აგვისტო. (საქინფორმის კორ.). გალისა და ოჩამჩირის რაიონების ჩაის პლანტაციების მშრომელებმა მოუწოდეს აფხაზეთის ყველა მეჩაიეს კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის, დავალების.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მეჩაიეებმა კოლექტიურ ფოთოლი — ადრე ნაკისრ ვალდებულებაზე 800 ტონით მეტი, ოჩამჩირელებმა — 18.860 ტონა, რაც 600 ტონით აღემატება წინანდელ ვალდებულებას. გალელ და ოჩამჩირელ მეჩაიეთა თაოსნობას მხარი დაუჭირეს აფხაზეთის ჩაის პლანტაციების მშრომელებმა.

ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘ — ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲔᲑᲡ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებელმა გარდაბნის რაიონულმა კომიტეტმა შეაჯამა საბჭოთა მეურნეობების მიერ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში გაწეული მუშაობა და გამარჯვებულად ცნეს ულიანოვკის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ლ. მიმინოშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი რ. ჭოჭუა).

მეურნეობამ სასახელოდ შეასრულა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დავალება. სახელმწიფოს მიაყიდა 2.070 ცენტნერი რძე ნაცვლად 1.980 ცენტნერისა. გაზრდილია ძროხების რაოდენობა. ნამატის მიღების წლიური გეგმა 82 პროცენტით შესრულდა. ამ მაჩვენებლებისათვის მეურნეობას პარტიის გარდაბნის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა აგრეთვე მარტყოფის საბჭოთა მეურნეობას (დირექტორი ე. ლილუაშვილი, პარტიული კომიტეტის მდივანი შ. ჭილაშვილი), რომელმაც მეორე კვარტალში და მთლიანად მიმდინარე წლის პირველ ნახევარში * სახოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა სახის დავალებათა შესრულებაში გაიმარჯვა. ხოლო კრწანისის საბჭოს მეურნეობამ (დირექტორი ი. ხარძიანი, პარტორგანიზაციის მდივანი ვ. ზედელავაშვილი) მეორე კვარტალში ხეხელმწიფოსათვის ბოხტნეულის მიყიდვის ხაშეში გაიმარჯვა და გარდამავალი წითელი დროშის მფლობელი გახდა.

ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲛᲠᲔᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲝᲜᲒᲐᲥᲔᲔᲑᲡ. ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲜᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ. ᲖᲝᲛᲡᲙᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲞᲐᲠᲒᲘᲣᲚᲘ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ. ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲡᲙᲝᲔ-ᲐᲜᲔᲥᲠᲝ-ᲡᲔᲯᲔᲜᲡᲙᲘᲡ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲡᲐᲦᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲡ

ᲫᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲐᲛᲮᲐᲜ�გᲠᲔᲑᲘ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ ულოცავთ დიდ შრომითს გამარჯვებას — ალექსანდროეკო-ანეერო-სეჯენსკის ნავთობსადენის პირველი რიგის მშენებლობის დამთავრებას და მუდმივი ექსპლოატაციისათვის გადაცემას.

ახალი ნავთობის მაგისტრალის ამოქმედება დიდმნიშვნელოვანი წვლილია დასავლეთ ციმბირის საწარმოო ძალების განვითარებაში, პარტიის XXIV კონგრესის მიერ დასახული ქვეყნის ეკონომიური და სოციალური განვითარების გრანდიოზული პროგრამის განხორციელებაში.

ეს შესანიშნავი მიღწევა იმის შედეგია, რომ თავდადებით დაშემოქმედებითად შრომობდნენ მუშები, ინჟინერები და ტექნიკოსები. შენებლობის ყველა მონაწილე, ფართოდ გაჯადგა სოციალისტური შეჯიბრება, დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა გასწიეს ტომსკის ოლქის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

ᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲛᲐ მოლი ვადაში. ციმბირის რთულ ბუნებრივ და კლიმატურ პირობებში გაიყვანეს 1.220 მილიმეტრი დიამეტრის მილები 800 კილომეტრზე მეტ მანძილზე, შეასრულეს 3,5 მილიონი კუბურ მეტრზე მეტი ნოტალოობის სამუშაოები, ააშენეს სატუმბი და ენერგეტიკული შეკრებლობანი, ააშენეს ნავთობის ტანკერები, ააშენეს ნავთობის ტანკერები, ააშენეს ნავთობის ტანკერები, ააშენეს ნავთობის ტანკერები.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲬᲧᲔᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲨᲔᲛᲓᲣᲦᲔᲑᲚᲔᲑᲘ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲚᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲜᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲚᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი

თავი XI.

შრომის დაცვა

მუხლი 139. შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა.

ყველა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში იქმნება შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები.

შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა ეკისრება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას.

ადმინისტრაცია ვალდებულია საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილებლად დანერგოს უსაფრთხოების ტექნიკის თანამედროვე საშუალებანი და უზრუნველყოს ისეთი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, რომლებიც აღკვეთენ მუშების და მოსამსახურეების პროფესიული დაავადებების წარმოშობას.

მუხლი 140. შრომის დაცვის მოთხოვნათა შესრულება საწარმოო შენობების, ნაგებობებისა და მოწყობილობების მშენებლობისა და ექსპლოატაციის დროს

საწარმოო შენობები, ნაგებობები, მოწყობილობა, ტექნოლოგიური პროცესები უნდა შეესაბამებოდეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ჯანსაღ და უსაფრთხო პირობებს.

ეს მოთხოვნები შეიცავენ ტერიტორიისა და საწარმოო შენობების რაციონალურად გამოყენებას, მოწყობილობის სწორ ექსპლოატაციას და ტექნოლოგიური პროცესების ორგანიზაციას, მომუშავეთა დაცვას შრომის მავნე პირობების ზემოქმედებისაგან, საწარმოო შენობებისა და სამუშაო ადგილების მოვლას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების შესაბამისად, სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო სათავსების მოწყობას.

საწარმოო შენობებისა და ნაგებობათა დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის და ექსპლოატაციის დროს დაცულ უნდა იქნეს შრომის დაცვის წესები და ნორმები.

მანქანების, დანადგარების და სხვა საწარმოო მოწყობილობის პროექტები უნდა შეესაბამებოდნენ უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის მოთხოვნებს.

სერიული წარმოებისათვის არ შეიძლება გადაცემულ იქნეს არც ერთი ახალი მანქანის, მექანიზმისა და სხვა საწარმოო მოწყობილობის ნიმუში, თუ იგი ვერ უპასუხებს შრომის დაცვის მოთხოვნებს.

მუხლი 141. ისეთ საწარმოთა საექსპლოატაციოდ გადაცემის აკრძალვა, რომლებიც არ შეესაბამებიან შრომის დაცვის მოთხოვნებს

არც ერთი საწარმო, სამჭრო, უბანი, წარმოება არ შეიძლება იქნეს მიღებული და გადაცემული საექსპლოატაციოდ, თუ იქ არ არის უზრუნველყოფილი შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები.

საწარმოო დანიშნულების ახალი და რეკონსტრუირებული ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა დაუშვებელია, თუ არ არის იმ ორგანოების ნებართვა, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო სანიტარიულ და ტექნიკურ ზედამხედველობას, პროფკავშირთა ტექნიკური ინსპექციის და იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის ნებართვა, რომლებიც ობიექტებს გადასცემენ საექსპლოატაციოდ.

მუხლი 142. შრომის დაცვის წესები, რომლებიც სავალდებულოა ადმინისტრაციისათვის

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს ყველა სამუშაო ადგილის სათანადო ტექნიკური მოწყობა და იქ შრომის ისეთი პირობების შექმნა, როგორიც შეესაბამება შრომის დაცვის წესებს (უსაფრთხობის ტექნიკის წესებს, სანიტარიულ ნორმებსა და წესებს და სხვ.). ასეთი წესებს (რომლებიც ერთიანია სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის ან სადარგთაშორისოა), სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძველების თანახმად ამტკიცებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ან მისი დავალებით სხვა სახელმწიფო ორგანოები პროფკავშირების საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად ან მასთან შეთანხმებით.

შრომის დაცვის დარგობრივ წესებსა და ნორმებს დადგენილი წესით ამტკიცებენ სამინისტროები, უწყებები, სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები (მუხლი 237-ე) შესაბამისი პროფესიული კავშირების ცენტრალურ კომიტეტებთან ერთად ან მათთან შეთანხმებით.

თუ შრომის დაცვის წესებში არ არის ის მოთხოვნები, რომელთა დაცვა სამუშაოთა წარმოების დროს აუცილებელია შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფისათვის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის, საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტთან ერთად იღებს ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის უსაფრთხო პირობებს.

მუხლი 143. მუშებისა და მოსამსახურეების ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის და საწარმოო სანიტარიის შესახებ

ადმინისტრაციას ეკისრება მუშათა და მოსამსახურეთა ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, სანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და შრომის დაცვის სხვა წესების შესახებ.

მუხლი 144. შრომის დაცვის ინსტრუქციები, რომლებიც სავალდებულოა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის

მუშები და მოსამსახურეები მოვალენი არიან შეასრულონ შრომის დაცვის ინსტრუქციები, რომლებიც ადგენენ სამუშაოთა შესრულებისა და საწარმოო შენობებსა და სამშენებლო მოედნებზე ქცევის წესებს. ასეთ ინსტრუქციებს ამუშავებს და ამტკიცებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან ერთად. სამინისტროებსა და უწყებებს პროფესიული კავშირების ცენტრალურ კომიტეტებთან შეთანხმებით, სხლო აუცილებელ შემთხვევებში — სახელმწიფო ზედამხედველობის შესაბამის ორგანოებთანაც (მუხლი 237-ე) შეუძლიათ დაამტკიცონ შრომის დაცვის ტიპობრივი ინსტრუქციები ძირითადი პროფესიების მუშებისათვის.

მუშები და მოსამსახურეები მოვალენი არიან აგრეთვე დაიცვან მანქანებითა და მექანიზმებით სარგებლობის დაწესებული მოთხოვნები, გამოიყენონ მათთვის მიცემული ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

შრომის დაცვის ინსტრუქციის ყველა მოთხოვნათა შესრულების მუდმივი კონტროლი ეკისრება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას.

მუხლი 145. სახსრები შრომის დაცვის ღონისძიებებისათვის

შრომის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვის დადგენილ წესით გამოიყოფა სახსრები და სატრო მასალები. ამ სახსრებისა და მასალების ხარჯვა სხვა მიზნებისათვის აკრძალულია.

აღნიშნული სახსრებისა და მასალების გამოყენების წესს განსაზღვრავს კოლექტიური ხელშეკრულებები ან შრომის დაცვის შეთანხმებები, რომლებიც იდება ადმინისტრაციასა და პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს შორის.

მუხლი 146. სპეციალური ტანსაცმლისა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებათა გაცემა

შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე, აგრეთვე ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც მიმდინარეობს განსაკუთრებულ ტემპერატურულ პირობებში ან დაკავშირებულია გაბეჭყიანებასთან, მუშებსა და მოსამსახურეებს დადგენილი ნორმებით უფასოდ ეძლევათ სპეციალური ტანსაცმელი, სპეციალური ფეხსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებანი.

ადმინისტრაცია მოვალეა უზრუნველყოს მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მიცემული სპეცტანსაცმლის, სპეცფეხსაცმლისა და ინდივიდუალური დაცვის სხვა საშუალებების შენახვა, გარეცხვა, გაშრობა, დეზინფექცია, დეგაზაცია, დეზაქტივაცია და შეკეთება.

მუხლი 147. საპნისა და გამაუვნებლებელ საშუალებათა გაცემა

ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც გაბეჭყიანებასთანაა დაკავშირებული, მუშებსა და მოსამსახურეებს დადგენილი ნორმებით უფასოდ ეძლევათ საპონი. იმ სამუშაოებზე, სადაც შესაძლებელია მავნე ნივთიერებების კანზე მოქმედება, დადგენილი ნორმებით უფასოდ გაიცემა ჩამოსაბანი და გამაუვნებლებელი საშუალებანი.

მუხლი 148. რძისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური კვების პროდუქტების გაცემა

შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე მუშებსა და მოსამსახურეებს დადგენილი ნორმებით უფასოდ ეძლევათ რძე ან სხვა ტოლფასოვანი კვების პროდუქტები.

ისეთ სამუშაოებზე, სადაც შრომის განსაკუთრებით მავნე პირობებია, დადგენილი ნორმებით უფასოდ გაიცემა სამკურნალო პროფილაქტიკური კვების პროდუქტები.

დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 185.

მუხლი 149. ცხელი საამქროების მუშების უზრუნველყოფა გაზიანი მარილიანი წყლით

საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მოვალეა ცხელი საამქროების მუშები უფასოდ უზრუნველყოს გაზიანი მარილიანი წყლით.

იმ საამქროებსა და საწარმოო უბნებს, რომლებიც უნდა მომარაგდნენ გაზიანი მარილიანი წყლით, ადგენენ სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოები ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.

მუხლი 150. შესვენებები, რომლებიც სამუშაო დროში ითვლება

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ზამთრობით მუშაობენ ღია ცის ქვეშ ან დახურულ შენობებში, რომლებიც არ თბება, მტვირთავებს, რომლებიც დასაქმებული არიან დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებზე, აგრეთვე სხვა კატეგორიის მუშაკებს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გათბობისა და დასვენებისათვის ეძლევათ სპეციალური შესვენებები, რომლებიც ითვლება სამუშაო დროში. საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მოვალეა მოაწყოს სადგომი მუშაკთა გათბობისა და დასვენებისათვის.

მუხლი 151. ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეების სამედიცინო შემოწმება

მინდობილი სამუშაოსათვის ვარგისიანობის განსაზღვრისა და პროფესიულ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით, მძიმე სამუშაოებსა და შრომის მავნე ან საშიშ პირობებიან სამუშაოებზე, აგრეთვე ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე დასაქმებულ მუშათა და მოსამსახურეთა სამედიცინო შემოწმება სავალდებულოა სამუშაოზე მიღებისას წინასწარ, ხოლო შემდგომ — პერიოდულად.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით კვების მრეწველობის, საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის საწარმოთა, წყალსადენის ნაგებობათა, სამკურნალო-პროფილაქტიკურ და საბავშვო დაწესებულებათა, აგრეთვე ზოგიერთ სხვა საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მუშაკები გადიან აღნიშნულ სამედიცინო შემოწმებას.

მუხლი 152. უფრო მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანა

საწარმოს, დაწესებულების ადმინისტრაცია მოვალეა, მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებენ უფრო მსუბუქ სამუშაოს, გადაიყვანოს ასეთ სამუშაოზე მათი თანხმობით, დროებით ან ვადის შეუწყდომლად — სამედიცინო დასკვნის შესაბამისად.

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უფრო მსუბუქ, დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანის დროს მუშებს და მოსამსახურეებს შეუნარჩუნდებათ წინანდელი საშუალო ხელფასი ორი კვირის განმავლობაში სამუშაოზე გადაყვანის დღიდან, ხოლო სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში წინანდელ საშუალო ხელფასს ინარჩუნებენ დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების მთელი დროის მანძილზე ან იღებენ დახმარებას სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ტუბერკულოზით ან პროფესიული ავადმყოფობით დაავადებასთან დაკავშირებით დროებით არიან გადაყვანილი სხვა დაბალხელფასიან სამუშაოზე, გადაყვანის მთელი დროის მანძილზე, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა, ეძლევათ დახმარება ავადმყოფობის ფურცლით ისეთი ოდენობით, რომ ახალ სამუშაოზე დანიშნულ ხელფასთან ერთად არ აღემატებოდეს სრულ ფაქტიურ შემოსავალს, რასაც წინანდელ სამუშაოზე იღებდა. თუ ადმინისტრაცია ავადმყოფობის ფურცელში მითითებულ ვადაში არ მისცემს სხვა სამუშაოს, ამ მიზეზით გამოტოვებული დღეებისათვის დახმარებას უსდიან საერთო საფუძველზე.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც დროებით არიან გადაყვანილი დაბალხელფასიან სამუშაოზე დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანების გამო, რაც სამუშაოსთან იყო დაკავშირებული, მათი ჯანმრთელობის დაზიანებისათვის პასუხისმგებელი საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია უხდის სხვაობას წინანდელ და ახალ სამუშაოზე დანიშნულ ხელფასებს შორის, ასეთ სხვაობას იხდიან შრომისუნარიანობის აღდგენამდე ანდა შრომისუნარიანობის ხანგრძლივად დაკარგვის ან ინვალიდობის დადგენამდე.

მუხლი 153. ინვალიდების შრომის გამოყენება

კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაცია ვალდებულია სამუშაოზე მიიღოს ინვალიდები და დაუწესოს მათ შემცირებული სამუშაო დღე და შრომის სხვა შეფავათიანი პირობები სამედიცინო რეკომენდაციის შესაბამისად.

ინვალიდების დასაქმება ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე, დასვენების დღეებსა და ღამის სამუშაოებზე შეიძლება მხოლოდ მათი თანხმობით და იმ პირობით, თუ ასეთი სამუშაო მათ არ ეკრძალებათ სამედიცინო რეკომენდაციით.

მუხლი 154. ადმინისტრაციის მოვალეობა — გამოიკვლიოს და აღრიცხოს წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევები

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის წარმომადგენელთა მონაწილეობით, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში სხვა ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობითაც, ვალდებულია დროულად და სწორად ჩაატაროს წარმოებაში მომხდარ უბედურ შემთხვევათა გამოკვლევა და აღრიცხვა.

ადმინისტრაცია ვალდებულია დაზარალებულის მოთხოვნით მისცეს მას უბედური შემთხვევის შესახებ აქტის დამოწმებული პირი, გამოკვლევის დამთავრებიდან არა უგვიანეს 3 დღისა.

თუ ადმინისტრაცია უარს ამბობს უბედური შემთხვევის შესახებ აქტის შედგენაზე ან დაზარალებული არ ეთანხმება აქტში უბედური შემთხვევის ვარიმოებათა აღწერას, დაზარალებულს შეუძლია მიმართოს საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს, რომლის დადგენილება აქტის შედგენის ან შინაარსის შესახებ სავალდებულოა ადმინისტრაციისათვის.

უბედურ შემთხვევათა გამოკვლევისა და აღრიცხვის მსახურების საფუძველზე ადმინისტრაცია მოვალეა, დროულად მიიღოს აუცილებელი ღონისძიებები იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც იწვევენ უბედურ შემთხვევას.

მუხლი 155. საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მატერიალური პასუხისმგებლობა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ჯანმრთელობის ვნებით მიყენებული ზიანის გამო

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები მატერიალურად პასუხისმგებელი არიან მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მიყენებული ზიანის გამო, რაც გამოწვეულია შრომითი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მათი დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ვნებით.

თავი XII.

ქალის შრომა

მუხლი 156. სამუშაოები, სადაც ქალის შრომის გამოყენება აკრძალულია

აკრძალულია ქალის შრომის გამოყენება მძიმე სამუშაოებზე და შრომის მავნეპირობებიან სამუშაოებზე, აგრეთვე მწისქვეშა სამუშაოებზე, გარდა ზოგიერთი მიწისქვეშა სამუშაოებისა (არაფიზიკური მუშაობა ან მუშაობა სანიტარიული და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში).

აკრძალულია ქალების მიერ ისეთი სიმძიმეების გადატანა ან გადაადგილება, რომლებიც აღემატებიან მათთვის დადგენილ ზღვრულ ნორმებს.

მძიმე და შრომის მავნეპირობებიან სამუშაოთა სიებს, აგრეთვე ქალების მიერ სიმძიმეთა გადატანისა და გადაადგილების ზღვრულ ნორმებს ამტკიცებენ სსრ კავშირის კანონმდებლობით და ამ კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში — საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 157. ქალის შრომის შეზღუდვა ღამის და ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე, მათი მივლინებაში გაგზავნის შეზღუდვა

დაუშვებელია ქალის შრომის გამოყენება ღამის სამუშაოებზე, სახალხო მეურნეობის იმ დარგების გარდა, სადაც ეს გამოწვეულია განსაკუთრებული აუცილებლობით და ნებადართულია როგორც დროებითი ღონისძიება.

დაუშვებელია გამოყენებულ იქნეს შრომა ორსული ქალებისა და მეძუძური დედებისა. აგრეთვე ქალებისა, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, ღამისა და ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე, დასვენების დღეებში, დაუშვებელია აგრეთვე მათი გაგზავნა მივლინებაში.

ქალები, რომლებსაც ჰყავთ ერთი წლიდან რვა წლის ასაკამდე ბავშვები, არ შეიძლება ჩაბმულ იქნეს ზეგანაკვეთურ სამუშაოებში ან გაიგზავნონ მივლინებაში მათი თანხმობის გარეშე.

მუხლი 158. უფრო მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანა ორსული ქალებისა, მეძუძური დედებისა და იმ ქალებისა, რომელთაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ

ორსული ქალები, საექიმო დასკვნის შესაბამისად, ორსულობის განმავლობაში გადაჰყავთ სხვა უფრო მსუბუქ სამუშაოზე წინანდელი სამუშაოს მიხედვით საშუალო ხელფასის შენარჩუნებით.

მეძუძური დედები და ქალები, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია, რომ მათ შეასრულონ წინანდელი სამუშაო, წინანდელი საშუალო ხელფასის შენარჩუნებით გადაჰყავთ სხვა სამუშაოზე ბავშვის კვების მთელი დროის მანძილზე, ან მანამ, სანამ ბავშვს შეუსრულდება ერთი წლის ასაკი.

მუხლი 159. შვებულებები ორსულობისა და მშობიარობის გამო

ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევათ შვებულება, რომლის ხანგრძლივობაა ოთხმოცდაექვსმეტი კალენდარული დღე მშობიარობამდე და ორმოცდათექვსმეტი კალენდარული დღე მშობიარობის შემდეგ; ამ პერიოდში მათ ეძლევათ დახმარება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით. არანორმალური მშობიარობისა და ორი ან მეტი ბავშვის შობის შემთხვევაში მშობიარობის შემდეგ ქალებს შვებულება ეძლევათ სამოცდაათი კალენდარული დღის ხანგრძლივობით.

მუხლი 160. ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებასთან ყოველწლიური შვებულების შეერთება

ქალს, მისი განცხადების თანახმად, ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების წინ ან უშუალოდ მის შემდეგ ეძლევა ყოველწლიური შვებულება ამ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მისი მუშაობის სტაჟის მიუხედავად.

მუხლი 161. დამატებითი უხელფასო შვებულება დედებისათვის, რომლებსაც ჰყავთ ერთ წლამდე ასაკის ბავშვები

ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების გარდა ქალს, მისი განცხადების თანახმად, ეძლევა დამატებითი უხელფასო შვებულება, ვიდრე ბავშვი მიაღწევდეს ერთი წლის ასაკს, და შვებულების განმავლობაში ენახება სამუშაო ადგილი (თანამდებობა).

ეს შვებულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ ნებისმიერ დროს, ვიდრე ბავშვს შეუსრულდება ერთი წლის ასაკი.

დამატებითი უხელფასო შვებულება ჩაითვლება მუშაობის საერთო და უწყვეტ სტაჟში, აგრეთვე სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟში.

მუშაობის იმ სტაჟში, რომელიც იძლევა მომდევნო ყოველწლიური შვებულების უფლებას, დამატებითი უხელფასო შვებულების დრო არ ჩაითვლება.

მუხლი 162. შვებულებანი იმ ქალებისათვის, რომლებმაც ახალშობილი ბავშვი იშვილეს

ქალებს, რომლებმაც ახალშობილი ბავშვი იშვილეს უშუალოდ სამშობიარო სახლიდან, ეძლევათ შვებულება ბავშვის შვილად აყვანის დღიდან, ვიდრე ბავშვის დაბადებიდან ექვსიდაოთხმეტი ორმოცდათექვსმეტი დღე. ამ ხნის განმავლობაში მათ ეძლევათ დახმარება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესით.

იმ ქალს, რომელმაც ახალშობილი ბავშვი იშვილა უშუალოდ სამშობიარო სახლიდან, თავისი განცხადების თანახმად ეძლევა დამატებითი უხელფასო შვებულება, ვიდრე ბავშვს შეუსრულდება ერთი წელი (მუხლი 161-ე).

ქალები, რომლებმაც ახალშობილი ბავშვი იშვილეს, სარგებლობენ იმ შეღავათებითა და უპირატესობით, რაც კანონით დადგენილია მეძუძური დედებისა და იმ ქალებისათვის, რომლებსაც ჰყავთ შვილები რვა წლის ასაკამდე.

მუხლი 163. შესვენება ბავშვის კვებისათვის

მეძუძურ დედებსა და ქალებს, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, გარდა საერთო შესვენებისა, ეძლევათ დამატებითი შესვენება ბავშვის კვებისათვის.

ეს შესვენება ეძლევათ სულ ცოტა ყოველ სამ საათში თვითეული არანაკლებ ოცდაათი წუთის ხანგრძლივობით, თუ ქალს ჰყავს ერთ წლამდე ასაკის ორი ან მეტი ბავშვი, შესვენების ხანგრძლივობა უნდა დაწესდეს არა ნაკლებ ერთი საათისა.

შესვენება ბავშვის კვებისათვის ჩაითვლება სამუშაო დროდ და ანაზღაურდება საშუალო ხელფასის მიხედვით.

შესვენების დროს და მისი მიცემის წესს, დედის სურვილის გათვალისწინებით, ადგენს ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან ერთად.

მუხლი 164. სამუშაოზე მიღების გარანტია და სამუშაოდან დათხოვნის აკრძალვა ორსული ქალებისა, მეძუძური დედებისა და იმ ქალებისა, რომელთაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ

აკრძალულია ორსული ქალების, მეძუძური დედებისა და იმ ქალების, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, სამუშაოდან დათხოვნა ადმინისტრაციის ინიციატივით, გარდა დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის სრული ლიკვიდაციის შემთხვევებისა, როდესაც დათხოვნა დაშვებულია სავალდებულო შრომითი მოწყობით.

მუხლი 165. ორსული ქალებისათვის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურების მიცემა და მათთვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა

საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციას პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, აუცილებლობის შემთხვევაში, შეუძლია უფასოდ ან შეღავათიან პირობებში მისცეს ორსულ ქალებს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები და აგრეთვე აღმოუჩინოს მათ მატერიალური დახმარება.

მუხლი 166. ქალებისათვის მომსახურების გაწევა იმ საწარმოებში, ორგანიზაციებში, სადაც ფართოდ იყენებენ ქალთა შრომას

იმ საწარმოებში, ორგანიზაციებში, სადაც ფართოდ იყენებენ ქალთა შრომას, იქმნება საბავშვო ბაღები და ბაღები, ოთახები ძუძუთა ბავშვების კვებისათვის, აგრეთვე ოთახები ქალის პირადი ჰიგიენისათვის.

თავი XIII.

ახალგაზრდობის შრომა

მუხლი 167. ასაკი, რომლის შემდეგ დასაშვებია საშუალო მიღება

დაუშვებელია თექვსმეტ წელზე ნაკლები ასაკის პირთა სამუშაოზე მიღება.

გამონაკლის შემთხვევებში პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით შეიძლება სამუშაოზე მიღებულ იქნენ პირნი, რომლებსაც თხუთმეტი წელი შეუსრულდათ.

მუხლი 168. არასრულწლოვანთა შრომითი უფლებები

არასრულწლოვანნი (პირნი, რომლებსაც არ მიუღწევიათ თვრამეტი წლის ასაკამდე) შრომის ურთიერთობებში უფლებრივად გათანაბრებული არიან სრულწლოვანებთან, ხოლო შრომის დაცვის, სამუშაო დროის, შვებულებებისა და შრომის ზოგიერთი სხვა პირობების მხრივ სარგებლობენ იმ შეღავათებით, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებით, ამ კოდექსით და შრომის კანონმდებლობის სხვა აქტებით.

მუხლი 169. სამუშაოები, რომლებზედაც აკრძალულია თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა პირთა შრომის გამოყენება

აკრძალულია თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა პირთა შრომის გამოყენება მძიმე სამუშაოებზე და მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოებზე, აგრეთვე მიწისქვეშა სამუშაოებზე.

სია მძიმე სამუშაოებისა, მავნე ან საშიშპირობებიანი სამუშაოებისა, რომლებზედაც აკრძალულია თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა პირთა შრომის გამოყენება, მტკიცდება სსრ კავშირის კანონმდებლობით და სმ კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში — საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკრძალულია არასრულწლოვანთა მიერ ისეთი სიმძიმეების გადატანა და გადაადგილება, რომელიც აღემატება მათთვის დადგენილ ზღვრულ ნორმებს.

მუხლი 170. თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა პირთა სამედიცინო შემოწმება

თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა ყველა პირს სამუშაოზე იღებენ მხოლოდ წინასწარი სამედიცინო შემოწმების შემდეგ და შემდეგში, თვრამეტი წლის მიღწევამდე, მათ ყოველწლიურად უნდა გაიარონ სავალდებულო სამედიცინო შემოწმება.

მუხლი 171. ღამისა და ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების დასაქმების აკრძალვა

აკრძალულია ღამისა და ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე და დასვენების დღეებში თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების დასაქმება.

მუხლი 127. თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების შვებულებები

თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებსა და მოსამსახურეებს ყოველწლიური შვებულება (67-ე მუხლის მეორე ნაწილი) ეძლევათ ზაფხულში ან, მათი სურვილის მიხედვით, წლის ყოველ სხვა დროს.

მუხლი 173. გამომუშავების ნორმები ახალგაზრდა მუშებისათვის

ახალგაზრდა მუშებისათვის, რომლებსაც 18 წელი არ შესრულებიათ, გამომუშავების ნორმები წესდება სრულწლოვანი მუშების გამომუშავების ნორმების მიხედვით, შემოკლებული სამუშაო დროის იმ ხანგრძლივობის პროპორციულად, რომელიც დადგენილია თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდათათვის.

ახალგაზრდა მუშებისათვის, რომლებიც საწარმოში, ორგანიზაციაში მუშაობას იწყებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო-დაწესებულებების, კურსების დამთავრების შემდეგ ან უშუალოდ საწარმოშიდან, წყვეტების შემდეგ, შეიძლება დამტკიცებულ იქნეს გამომუშავების შემცირებული ნორმები იმ შემთხვევაში, იმ ოდენობით და იმ ვადით, რომლებიც განსაზღვრულია კანონმდებლობით. ამ ნორმების ამტკიცებს საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

მუხლი 174. თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება ყოველდღიური მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობისას

თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებსა და მოსამსახურეებს ყოველდღიური მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობის შემთხვევაში ხელფასი ეძლევათ იმავე ოდენობით, როგორც შესაბამისი კატეგორიების მუშებსა და მოსამსახურეებს ყოველდღიური მუშაობის სრული ხანგრძლივობის დროს.

ნარდობლივ სამუშაოებზე დაშვებული თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების შრომა ანაზღაურდება სანარდო ფასდებით, რომელიც დადგენილია მოზრდილი მუშაკებისათვის. ამასთანავე მათ მიეცემათ დანამატი სტაჟიანობა განაკვეთით იმ დროისათვის, რომლითაც მათ ყოველდღიური მუშაობის ხანგრძლივობა მოზრდილების ყოველდღიური მუშაობის ხანგრძლივობასთან შედარებით მცირდება.

მუხლი 175. სამუშაოზე და საწარმოო სწავლებაზე ახალგაზრდობის მიღების ვადანი

ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის წესდება ვადანი იმ ახალგაზრდების სამუშაოზე და საწარმოო სწავლებისათვის მისაღებად, რომლებმაც დაამთავრეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები, ასევეცვე ჯარშანი ბიჭებისა თვრამეტ წლამდე ასაკის სხვა პირთა მისაღებად.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოები ამტკიცებენ იმ ახალგაზრდების შრომითი მოწყობის გეგმებს, რომლებიც ამთავრებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს და უზრუნველყოფენ ამ გეგმების შესრულებას ყველა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ.

მუხლი 176. სასწავლებელდამთავრებულ ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების უზრუნველყოფა სამუშაოთი სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით

ახალგაზრდა მუშები, რომლებმაც დაამთავრეს პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლები, და ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, უზრუნველყოფილი უნდა იქნენ სამუშაოთი მიღებული სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

მუხლი 177. თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების დათხოვნის შეზღუდვა

ადმინისტრაციის ინიციატივით თვრამეტ წელზე უფრო ახალგაზრდა მუშებისა და მოსამსახურეების დათხოვნა დაიშვება, დათხოვნის საერთო წესის დაცვის გარდა, მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეთა (საქალაქო) კომისიის თანხმობით, ამასთან დათხოვნა ამ კოდექსის 34-ე მუხლის 1-ლ, მე-2 და მე-6 პუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით ხდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და დაუშვებელია შრომითი მოწყობის გარეშე.

მუხლი 178. არასრულწლოვანთან შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა შობილების ან სხვა პირებისა და ორგანოების

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი

(გაგრძელება)

მუხლი 192. შვებულება არჩეული სპეციალობით სამუშაოს გასაცნობად და სადიპლომო პროექტისათვის მასალების მოსამზადებლად

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება აქვს შესაბამისი სასწავლებლების რეკომენდაციით საღამოსა და დაუსწრებელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლის უკანასკნელი კურსის მოსწავლეებს დამატებით მისცეს ერთი თვის უხელფასო შვებულება უშუალოდ წარმოებაში არჩეული სპეციალობით — სამუშაოს გასაცნობად და სადიპლომო პროექტისათვის მასალების მოსამზადებლად. შვებულების განმავლობაში სტუდენტებსა და მოსწავლეებს ენიშნებათ სტიპენდია საერთო საფუძველზე.

მუხლი 193. დაუსწრებელი სასწავლებლის ადგილამდე მგზავრობის ღირებულების ანაზღაურება

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას დაუსწრებელი უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებს უნაზღაურებს მგზავრობის ღირებულებას ლაბორატორიულ სამუშაოთა შესრულების, ჩათვლების და გამოცდების. ჩაბარების მიზნით სასწავლებლის ადგილამდე ჩასვლისა და უკან დაბრუნებისათვის, წელიწადში ერთხელ, მგზავრობის ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით.

ამას გარდა, ასეთივე ოდენობით ანაზღაურდება მგზავრობა სადიპლომო პროექტების (ნაშრომების) მოსამზადებლად და დაცვისათვის ან სხელმწიფო გამოცდების ჩაბარებისათვის.

თავი XV.

შრომითი დავა

მუხლი 194. ორგანოები, რომლებიც განიხილავენ შრომითს დავას

შრომითს დავას განიხილავენ:

1) შრომითი დავის კომისიები;

2) პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები;

3) რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები.

ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთა შრომითს დავას განიხილავენ ხელქვითოშის წესით ზემდგომი ორგანოები (მუხლი 213-ე).

მუხლი 195. შრომითი დავის განხილვის წესი

შრომითი დავის კომისიებისა და პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების მიერ შრომითი დავის განხილვის წესს „წესრიგებს დებულება შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ და ეს კოდექსი.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მიერ შრომითი დავის განხილვის წესს განსაზღვრავს დებულება შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ, ეს კოდექსი და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი.

მუხლი 196. შრომითი დავის კომისია

შრომითი დავის კომისია აუცილებელი პირველადი ორგანოა, რომელიც განიხილავს საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში წარმოქმნილ შრომითს დავას, ერთის მხრივ მუშა-მოსამსახურეებსა და, მეორე მხრივ, ადმინისტრაციას შორის, გარდა იმ დავისა, რომელიც კანონის თანახმად უშუალოდ უნდა განიხილოს რაიონულმა (საქალაქო) სახალხო სასამართლომ ან სხვა ორგანომ.

კომისია გადაწყვეტილებას იღებს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 197. შრომითი დავის კომისიების ორგანიზაცია

შრომითი დავის კომისიები იქმნება საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტისა და საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციის ადმინისტრაციის წარმომადგენლების თანაბარი რაოდენობით.

თვითეული მხარის წარმომადგენელთა რაოდენობა წესდება პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტისა და ადმინისტრაციის შეთანხმებით, მხარეთა წარმომადგენლებს კომისიაში გამოყოფენ პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის რწმუნებულების ვადით, პროფესიული კავშირის წარმომადგენელად შრომითი დავის კომისიაში გამოიყოფა პროფესიული კავშირის კომიტეტის წევრი.

იმ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სადაც არ არის პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი, შრომითი დავის კომისია იქმნება პროფესიული კავშირის ორგანიზატორისა და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის შემადგენლობით.

მუხლი 198. შრომითი დავის განმხილველ კომისიაში განსაცხადებათა მიღების წესი და შრომითი დავის განხილვის ვადა

შრომითი დავის განმხილველ კომისიაში განცხადებათა მიღებას აწარმოებს პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი, ხოლო იქ, სადაც ასეთი არ არის, — პროფორგანიზატორი.

კომისია ვალდებულია შრომითი დავა განიხილოს ხუთ დღეში განცხადების მიღების დღიდან.

მუხლი 199. შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილება

კომისიის გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს და არავითარ დამტკიცებას არ საჭიროებს.

მუხლი 200. შრომითი დავის განხილვა იმ შემთხვევაში, როცა მხარეები ვერ შეთანხმდებიან შრომითი დავის კომისიაში. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

თუ შრომითი დავის კომისიაში დავის განხილვისას ვერ შეთანხმდნენ პროფესიული კავშირის კომიტეტისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მუშას ან მოსამსახურეს უფლება აქვს კომისიის სხდომის ოქრის ამონაწერის მისოვის ჩაბარებიდან ათი დღის ვადაში მიმართოს პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს განსაცხადით დავის გადაჭრის შესახებ.

შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილება მუშას ან მოსამსახურეს შეუძლია იმავე ვადაში გასაჩივროს პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს.

იმ შემთხვევაში, როდესაც მუშა ან მოსამსახურე არ ეთანხმება საწარმოს, დაწესებულებას გადაწყვეტილებას შრომითი დავის შესახებ, რომელიც გამოიტანა კომისიამ პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, მათთვის მინიჭებული უფლებები ფარგლებში.

მუხლი 201. შრომითი დავის, განხილვა პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის მიერ

პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტები შრომით დავას განიხილავენ მუშების და მოსამსახურეების განსახილველად, თუ შრომითი დავის კომისიაში მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, აგრეთვე, როდესაც მუშებსა და მოსამსახურეებს საჩივარი შეაქვთ ამ კომისიის გადაწყვეტილებაზე.

იმ შრომითი დავის განხილვისას, რომელშედაც კომისიაში ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს გამოაქვს დადგენილება დავის არსის გამო.

შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილებაზე საჩივრის განხილვის დრო საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს შეუძლია ძალაში დატოვოს კომისიის გადაწყვეტილება ან გააუქმოს იგი და გამოიტანოს დადგენილება დავის არსის გამო.

პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი მოვალეა შრომითი დავა განიხილოს შვიდ დღეში დღიდან განცხადების ან საჩივრის მიღებისა.

პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის პროტესტით აუქმებს კომისიის გადაწყვეტილებას, რომელიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, და გამოაქვს დადგენილება დავის არსის გამო.

მუხლი 202. პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის მიერ განხილული შრომითი დავის სასამართლოსათვის გადაცემის შემთხვევები

თუ მუშა ან მოსამსახურე არ ეთანხმება პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის მიერ შრომითს დავაზე გამოტანილ გადაწყვეტილებას, განცხადებით შრომითი დავის განხილვის შესახებ მას შეუძლია მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს ათი დღის ვადაში საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილების ხელზე მიღების დღიდან.

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას შრომითი დავის გადასაჭრელად შეუძლია შეიოთ აღნიშნულ ვადაში მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს, თუ მას მიაჩნია, რომ პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის მიერ გამოტანილი დადგენილება შრომითი დავის შესახებ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 203. შრომითი დავის განხილვა რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები შრომითს დავას განიხილავენ;

1) მუშათა და მოსამსახურეთა განცხადებით, — როცა ისინი არ ეთანხმებიან პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილებას ან ადმინისტრაციის განცხადებით, — როცა მას მიაჩნია, რომ საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის დადგენილება ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

2) მუშათა და მოსამსახურეთა განცხადებით, — როცა ისინი არ ეთანხმებიან შრომითი დავის კომისიის გადაწყვეტილებას, რომლის შემადგენლობაში შედიან პროფკავშირული ორგანიზატორი და საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან როცა ამ კომისიაში მხარეები ვერ შეთანხმდნენ, აგრეთვე, როცა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში არ არის პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტი და პროფკავშირული ორგანიზატორი.

გარდა ამისა, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები, უშუალოდ, შრომითი დავის კომისიისა და საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტისათვის მიუმართავად შრომით დავას განიხილავენ:

1) იმ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე აღდგენის შესახებ განცხადებით, რომლებიც დათხოვნილი არიან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ინიციატივით, გარდა იმ მუშაკთა დავისა, რომელთა თანამდებობანი გათვალისწინებულია განსაკუთრებული ნუსხით (წესი 213);

2) ადმინისტრაციის განცხადებით საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მუშებისა და მოსამსახურეების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

უშუალოდ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში განხილავენ აგრეთვე, მუშაკსა და ადმინისტრაციას შორის არსებულ შრომითს დავას შრომის კანონმდებლობის გამოყენების ისეთ საკითხზე, რომელიც ამ მუშაკის მიმართ მანამდე ჰქონდა გადაწყვეტილი ადმინისტრაციის პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, მათთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში.

მუხლი 204. შრომითი დავის გადასაწყვეტად მიმართვის ვადები

მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ მიმართონ შრომითი დავის კომისიას ნებისმიერ დროს, რამდენ ხანგაზმულობის ვადით შეუზღუდავად, ხოლო დათხოვნის საქმეთა გამო — რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დათხოვნის ბრძანების ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

მუშაკის მიერ საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ადმინისტრაციას შეუძლია მიმართოს სასამართლოს შემდეგ ვადებში:

1) ამ კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში — ერთი თვის განმავლობაში მუშაკის მიერ მიყენებული ზიანის გამომძიებლების დღიდან;

2) ამ კოდექსის 119-ე მუხლის მეორე ნაწილით და 120-ე, 121-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში — ერთი წლის განმავლობაში მუშაკის მიერ მიყენებული ზიანის გამომძიებლებიდან.

თუ ამ მუხლით დადგენილი ვადები გასულია და მოსარჩელეს აქვს საპატიო მიზეზები, სასამართლოს შეუძლია აღადგინოს ეს ვადები.

მუხლი 205. მუშებისა და მოსამსახურეების განთავისუფლება სასამართლო ხარჯებისაგან, როდესაც ისინი სასამართლოს მიმართავენ შრომის საქმეებზე

მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც, სასამართლოს მიმართავენ შრომითი სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოსარჩელენი თაობაზე, თავისუფალი არიან სახელმწიფოს შემოსავალში ჩასართიცხი სასამართლო ხარჯებისაგან (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები).

მუხლი 206. სამუშაოზე აღდგენა

კანონიერი საფუძვლის გარეშე ან დადგენილი წესის დარღვევით დათხოვნის ან სხვა სამუშაოზე უკანონოდ გადაყვანის დროს მუშა ან მოსამსახურე სამუშაოზე ერთ ან სამ თვეზე ადრე, ან ეკონომიკური ან ტექნიკური ცვლილებანი, ან ორგანოს, ან ორგანოს, ან ორგანოს

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი

(დასასრული)

1) სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები და ინსპექციები, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში არ არიან დამოკიდებული საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისაგან და მათი შემდგომი ორგანოებისაგან;

2) პროფესიული კავშირები, აგრეთვე მათ გამგებლობაში მყოფი ტექნიკური და შრომის სამართლებრივი ინსპექციები — ამ ინსპექციების შესახებ პროფკავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებების თანახმად.

შრომელთა დეპუტატების საბჭოები და მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები კონტროლს შრომის კანონმდებლობის შესრულებაზე ახორციელებენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

სამინისტროები და უწყებები მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიმართ ახორციელებენ შიგასაუწყებო კონტროლს შრომის კანონმდებლობის დაცვაზე.

ყველა სამინისტროს, უწყების, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის და მათი თანამდებობის პირთა მიერ შრომის კანონების ზუსტი შესრულების უმაღლეს ზედამხედველობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ახორციელებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი როგორც უშუალოდ, ისე საქართველოს სსრ პროკურორის მეშვეობით.

მუხლი 238. მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი სახელმწიფო ზედამხედველობა

სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესების დაცვისადმი სახელმწიფო ზედამხედველობას მრეწველობის ზოგიერთ დარგში და ზოგიერთ ობიექტზე (პროფკავშირების საბჭოს ტექნიკურ ინსპექციებთან ერთად) ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი (საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობის კომიტეტი) და მისი ადგილობრივი ორგანოები კომიტეტის დებულების შესაბამისად.

აღნიშნული ზედამხედველობა ხორციელდება ქვანახშირის, სამთამადნო, სამთოქიმიურ, არამადნეულ, ნავთობშომპოვებელ და გაზზომპოვებელ, ქიმიურ, მეტალურგიულ და ნავთობგაზგადამამუშავებელ მრეწველობაში, გეოლოგიურ-საძებნო ექსპედიციებსა და პარტიებში, აგრეთვე მაშინ, როდესაც აწყობენ და ექსპლოატაციას უწევენ ამწინანგებობებს, წნევის ქვეშ მოუშვავე საქვაბე დანადგარებსა და ჭურჭლებს, ორთქლისა და ცხელი წყლის მილგაყვანილობას, გაზის მოპოვებასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებულ ობიექტებს, მრეწველობაში აფეთქების სამუშაოთა წარმოების დროს.

მუხლი 239. სახელმწიფო ენერგეტიკული ზედამხედველობა

სახელმწიფო ზედამხედველობას იმ ორნისძიებათა ჩატარებაზე, რაც უზრუნველყოფს ელექტრო და სითბოგამომყენებელი დანადგარების უსაფრთხო მომსახურებას, ახორციელებენ სახელმწიფო ენერგეტიკული ზედამხედველობის ორგანოები, რომლებიც შედიან სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს სისტემაში — სსრ კავშირში სახელმწიფო ენერგეტიკული ზედამხედველობის დებულების შესაბამისად.

მუხლი 240. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობა

სახელმწიფო სანიტარიულ ზედამხედველობას საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციების მიერ პიგიენური ნორმების, სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიისაწინააღმდეგო წესების დაცვაზე ახორციელებენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოები — სსრ კავშირში სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის დებულების შესაბამისად, ხოლო ზოგიერთ ობიექტზე — სათანადო სამინისტროების და უწყებების სამედიცინო სამსახური.

მუხლი 241. საზოგადოებრივი კონტროლი შრომის კანონმდებლობის დაცვაზე

შრომის კანონმდებლობისა და შრომის წესების დაცვის საზოგადოებრივ კონტროლს ახორციელებენ პროფესიული კავშირები, აგრეთვე პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის საზოგადოებრივი ინსპექტორები და კომისიები — პროფკავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებული მათი დებულების შესაბამისად.

საზოგადოებრივ სანიტარიულ კონტროლს საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში ახორციელებენ საზოგადოებრივი სანიტარიული ინსპექტორები.

მუხლი 242. პასუხისმგებლობა შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის

თანამდებობის პირთ, რომელსაც ბრალი მიუძღვით შრომის კანონმდებლობისა და შრომის დაცვის წესების დარღვევაში, კოლექტიური ხელშეკრულებებითა და შრომის დაცვის შეთანხმებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობაში ან პროფესიული კავშირების საქმიანობისათვის ხელის შემლაში, ეკისრებათ პასუხისმგებლობა (დისციპლინური, ადმინისტრაციული, სისხლის სამართლისა) სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი XIX.

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 243. ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეების შრომის მოწესრიგების თავისებურებანი

სსრ კავშირის კანონმდებლობით და ამ კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს:

1) შედავათები შრომის დარგში მუშებისა და მოსამსახურებისათვის, რომლებიც მუშაობენ რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში, აგრეთვე ზოგიერთი სხვა კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის;

2) სამუშაო დროისა და დასვენების დროის მოწესრიგების თავისებურებანი ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში — სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებით დადგენილი ნორმების ფარგლებში.

3) შრომის განსაკუთრებული პირობები მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან სეზონურ სამუშაოებზე ან ხე-ტყის მრეწველობასა და სატყეო მეურნეობაში, დროებით მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, აგრეთვე იმ პირთათვის, რომლებიც მოქალაქეებთან ხელშეკრულებით მუშაობენ (შინამოსამსახურეები და სხვ.), სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებიდან სამუშაო დროისა და დასვენების დროის რეჟიმის. ზეგანაკვეთურ დროს და არასამუშაო დღეებში მუშაობაში ჩაბმის, ამ სამუშაოს კომპენსაციის, სხვა სამუშაოზე დროებითი გადაყვანისა და დათხოვნის თაობაზე ცალკეული გამონაკლისით.

მუხლი 244. მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური პასუხისმგებლობა იმ შემთხვევებში, როდესაც ფაქტიური ზიანის ოდენობა აღემატება მის ნომინალურ ოდენობას

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის გამო მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალური პასუხისმგებლობის ფარგლებს იმ შემთხვევებში, როდესაც ზიანის ფაქტიური ოდენობა აღემატება მის ნომინალურ ოდენობას, აწესებენ სსრ კავშირის კანონები და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები.

მუხლი 245. ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეების შრომის მოწესრიგების სხვა თავისებურებანი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეების შრომის მოწესრიგების სხვა თავისებურებები ცალკეულ საკითხებზე შეიძლება დაწესებულ იქნეს მხოლოდ სსრ კავშირის კანონებით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 246. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კომპეტენციის გამიჯვნა იმ საკითხებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებით

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის გამგებლობას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია საფუძვლების ცალკეული მუხლებით, განეკუთვნება იმ წესების დადგენა, რომლებიც განსაზღვრავენ რაციონალიზაციურ სამუშაოებს, რომლებზეც არ შეიძლება მუშების გადაყვანა მოცდენასთან დაკავშირებით (29-ე მუხლი); ღამით მუშაობის ხანგრძლივობას (47-ე მუხლის მეორე ნაწილი); თვიური ხელფასის მინიმალურ ოდენობას (76-ე მუხლი); ანაზღაურების ოდენობას ნაწილობრივი წუნისათვის (91-ე მუხლის მეხუთე ნაწილი); კომპენსაციებს სამსახურებრივ მივლინებებთან და სხვა ადგილას სამუშაოდ გადასვლასთან დაკავშირებით (115-ე მუხლის მეორე ნაწილი, 116-ე მუხლის პირველი ნაწილი); ღამის სამუშაოებზე ქალთა შრომის შეზღუდვას (157-ე მუხლის პირველი ნაწილი); მუშაკთა კატეგორიებს, რომლთა შრომითი დავა განიხილება ხელოვნურობის წესით (213-ე მუხლი); კულტურულ-მასობრივად და ფიზკულტურული მუშობის ჩასატარებლად პროფკავშირული ორგანოებისათვის ანარიცხების წესსა და ოდენობას (225-ე მუხლი); სახელმწიფო სოციალური დაზღვევით უზრუნველყოფის წესსა და ოდენობას (229-236-ე მუხლები).

სსრ კავშირის გამგებლობას და მის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში, საქართველოს სსრ გამგებლობას განეკუთვნება იმ წესების დადგენა, რომლებიც განსაზღვრავენ: ცალკეული კატეგორიის მუშაკებისათვის სამუშაო დროის შემცირებას (44-ე მუხლის მე-2 პუნქტი); ექვსდღიანი სამუშაო კვირის გამოყენებას (45-ე მუხლის მეორე ნაწილი), იმ შემთხვევებს, როდესაც შეიძლებელია დღიმაგიერის მიცემა დასვენების ცვლებში მუშაობისათვის (63-ე მუხლის მეორე ნაწილი); უქნი დღეებში წარმოებულ სამუშაოებს (64-ე მუხლის მეორე ნაწილი); ყოველწლიური დამატებითი შვებულებების მიცემასა და ხანგრძლივობას (69-ე მუხლი); ხელფასის ნორმირებას (47-ე—49-ე მუხლები); შრომის ანაზღაურების ოდენობას (ერთი მუხლის მეორე და მესამე ნაწილი), ნაღვაწი ნორმების ასამაღლებლად ბრიგადებისა და ბრიგადების გასამრჯელოს გაცემას (82-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები); გამომუშავების ერთიან ან ტარიფურ ნორმებს (104-ე მუხლი); ქუმი დღეებში შუმაობისათვის დღიმაგიერის მიცემას (87-ე მუხლის მეორე ნაწილი). ხელფასიდან უაქციოებების შეზღუდვას (123-ე მუხლი); შრომის ტიპობრივ შინაგანაწესს და წესდებებს დისციპლინის შესახებ (130-ე მუხლი, 131-ე და 135-ე მუხლების მეორე ნაწილები); შრომის დაცვის წესებს (142-ე მუხლი); შრომის დაცვის ორნისძიებებისათვის სახსრების გამოყოფასა და ხარჯვას (145-ე მუხლის პირველი ნაწილი); სპეცსაცმლის, რძისა და სამკურნალო პროფილაქტიკური კვების პროდუქტების გაცემის წესს (146-ე მუხლის პირველი ნაწილი. 147-ე და 148-ე მუხლები); სამედიცინო შემოწმებას (151-ე მუხლი); სამუშაოების რომლებზეც არ დაიშვება ქალებისა და არასრულწლოვანების შრომა (156-ე და 169-ე მუხლების პირველი ნაწილები); ახალგაზრდობის სამუშაოზე მიღების ჯვამანს (175-ე მუხლის პირველი ნაწილი); ახალგაზრდა მუშებისა და სპეციალისტების სამუშაოთი უზრუნველყოფას (176-ე მუხლი); შეღავათს მათთვის, ვინც სწავლობს წარმოებისაგან მოწყვეტილად (182-ე მუხლი, 188-ე და 189-ე მუხლების პირველი ნაწილები); პროფესიული კავშირების უფლებებს (218-ე მუხლი); შრომის კანონმდებლობის დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის ორგანოებს (237-ე მუხლის 1 პუნქტი.); ზოგიერთი კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეების შრომის მოწესრიგების თავისებურებებს (55-ე და 243-ე მუხლები).

საქართველოს სსრ გამგებლობას განეკუთვნება. იმ წესების დადგენა, რომლებიც განსაზღვრავენ ზეგანაკვეთურ სამუშაოთა გამოყენების შემთხვევებს (54-ე მუხლის მესამე ნაწილი); დასვენების დღეებში მუშაობის შემთხვევებს (62-ე და 63-ე მუხლების პირველი ნაწილები); ხელფასის გაცემის ვადებს (94-ე მუხლის მეორე ნაწილი).

მუხლი 247. ამ კოდექსით გათვალისწინებული ვადების გამოთვლა

ვადის გამოთვლა, რომელსაც ეს კოდექსი უკავშირებს შრომითი უფლებების და მოვალეობების აღმოცენებას და შეწყვეტას, იწყება იმ კალენდარული თარიღის მეორე დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია ვადის დასაწყისი.

წლებით, თვეებით. კვირებით გამოსათვლელი ვადები მთავრდება უკანასკნელი წლის, თვის ან კვირის შესაბამის რიცხვში. ვადაში, რომელიც კალენდარული კვირეებით ან დღეებით განისაზღვრება, შედის არასამუშაო დღეებიც.

თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ვადის დამთავრების დღად ითვლება უახლოესი მომდევნო სამუშაო დღე.

თუ გსურთ დაეუფლოთ მუშის პროფესიას...

თბილისის პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკური სასწავლებლები გიწვევენ თქვენ, ქალიშვილებო და ჰაბუკებო!

თბილისის პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში გრძელდება მოსწავლეთა ახალგაზრდობის მიღება.

ქალიშვილებსა და ჰაბუკებს, რომლებმაც რვა კლასი დაამთავრეს და სურთ სპეციალობასთან ერთად სრული საშუალო განათლება მიიღონ, შეუძლიათ შევიდნენ საშუალო პროფესიულ სასწავლებლებში.

სასწავლებლებში სწავლების ვადა სამი წელია; მოსწავლეთა სწავლების პერიოდში მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე არიან (სამჯერადი კვება, ტანსაცმელი, სტიპენდია, საერთო საცხოვრებელი).

პირები, რომლებიც სასწავლებელს „ფრიადზე" დაამთავრებენ, უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებებზე კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან.

კარგი პერსპექტივები ისახება იმათ წინაშე, ვინც გადაწყვეტა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მიიღოს მუშის პროფესია, ან რაიმე მიზეზით ვერ მოახერხა უმაღლეს სასწავლებელსა თუ ტექნიკუმში შესვლა და არ სურს ამათდ დაკარგოს დრო შემდეგი შესასვლელი გამოცდების მოლოდინში. ამ კატეგორიის ახალგაზრდებისათვის ყველაზე გონივრული გზაა შევიდნენ ტექნიკურ სასწავლებლებში.

ტექნიკური სასწავლებლები ამზადებენ მაღალკვალიფიციურ ყველაზე რთული პროფესიების მუშებს. სწავლების ვადა ერთი წელია. მოსწავლენი ინსტიტუტების სტუდენტებთან თანაბარი წესით იღებენ სტიპენდიას. ვინც „ფრიადსა" და „კარგზე" სწავლობს, იღებს 15-დან 25 პროცენტამდე გადიდებულ სტიპენდიას. გადიდებულ სტიპენდიას იღებენ დამობილიზებული მეომრებიც. სასწავლებლის „ფრიადზე" დამთავრების შემთხვევაში მათ კონკურსგარეშე ჩარიცხავენ უმაღლეს სასწავლებლების დაუსწრებელ და საღამოს განყოფილებებზე.

სასწავლებლებში უგამოცდოდ მიიღებიან 15 წლიზე უხნესი ქალიშვილები და ჰაბუკები, რომლებმაც რვა-ათი კლასი დაამთავრეს.

სწავლების პერიოდი ითვლება მუშაობის უწყვეტ საწარმოო სტაჟად.

პროფესიის არჩევანი საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში ფართოა. მარტო რესპუბლიკის დედაქალაქის სასწავლებლებში 50-ზე მეტი სპეციალობაა.

სასწავლებლები ამზადებენ კადრებს მშენებლობისათვის, მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის, რკინიგზის ტრანსპორტისათვის, საავიაციო მრეწველობისათვის, მანქანათმშენებლობისა და ჩარხმშენებლობისათვის. ელექტროტექნიკური მრეწველობისათვის, კავშირგაბმულობისათვის და სხვ.

ყველას შეუძლია პროფესია თავისი სურვილისამებრ აირჩიოს.

მეცადინეობა დაიწყება 1973 წლის 1 სექტემბერს.

ქალიშვილებსა და ჰაბუკებს, რომლებიც გადაწყვეტენ შევიდნენ პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში, დაწერილებითი ცნობები მიღებისა და სწავლების პირობების, მათთვის საინტერესო ყველა საკითხის შესახებ შეუძლიათ შეიტყონ მისამართით: **ქ. თბილისი, კამოს ქუჩა № 68, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი. დაეგმვის განყოფილება — ტელ: 95-88-51; სასწავლო განყოფილება — ტელ: 95-17-52. კომუტატორი — 95-37-33. (საქინფორმი).**

დამატებითი მატარებლები

6 აგვისტოს 21 საათსა და 35 წუთზე მოსკოვის დროით თბილისის სამგზავრო სადგურიდან გავდა **თბილისი-ბათუმის** დამატებითი მატარებლის პირველი შემადგენლობა. ეს მატარებელი მგზავრთა კეთილმყოფელობა-ზაფხულო პერიოდში ყოველდღე იქნება. 9 აგვისტოდან დაიწყება მოძრაობას **თბილისი-გაგრის** დამატებითი მატარებელი, რომელიც ძირითადი სადგურიდან 18 საათსა და 50 წუთზე გადის. დანიშნულია აგრეთვე **თბილისი-მოსკოვის** დამატებითი მატარებელი. იგი თბილისიდან ლუწ რიცხვებში გავა 17 საათსა და 08 წუთზე.

20 აგვისტოდან ლუწ რიცხვებში იქნეს მატარებელი **ერევანი-კისლოვოდსკი.**

მშრომელთა სურვილების შესაბამისად მთელი რიგი დამატებითი მატარებლები ივლიან აფხაზეთის დედაქალაქიდანაც. მატარებელი № 194 **სოხუმი-მოსკოვი** სოხუმიდან გავა 7 საათზე, მატარებელი № 86 კი 14 საათსა და 28 წუთზე, ხოლო სამგზავრო შემადგენლობა **სოხუმი-ლენინგრადი** სოხუმიდან ლუწ რიცხვებში 12 საათსა და 55 წუთზე.

გათვალისწინებულია აგრეთვე მცირეწლოვან მგზავრთა ინტერესები. კერძოდ, 16 აგვისტოს სოხუმიდან გავა სბავშვო მატარებელი **სოხუმი-არხანგელსკი,** რომლის ორ ვაგონში ადგილდება სბავშვო საკვები პროდუქტები და სამრეწველო საქონელი. დანიშნულია აგრეთვე დამატებითი სბავშვო მატარებელი **სოხუმი-გროზნო,** ამასთან ბევრ სამგზავრო მატარებელს ჩაუბამენ სპეციალურ სბავშვო ვაგონებს.

მგზავრთა კულტურული მომსახურების ახალი საშუალება ხდება ავრეთვე ტურისტული მატარებლები და ერთი წოდებული „ჯანმრთელობის მატარებლები", რომელთა რაოდენობა სულ უფრო მატულობს. შემოღებულია აგრეთვე „დასვენების დღის" მატარებლები, რომლებიც **თბილისი-სოხუმის** მაგისტრალზე ივლიან. (საქინფორმი).

ინფორმაცია

დღეს, 9 აგვისტოს, დასავლეთ საქართველოში მოხალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ელჭექის ხასიათის მცირე წვიმა, იქროლებს აღმოსავლეთის ქარი — წამში 6-9 მეტრი, ხოლო რიონის ხეობაში წამში 10-14 მეტრი სიძლიერით, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 28-32 გრადუსი, მთა რაიონებში 27-31 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა იქნება, უმეტესად უნალექოდ. სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში 29-33 გრადუსი, ხოლო მთაში 22-26 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, სუსტი ქარი, ტემპერატურა 31-33 გრადუსი სიცხე.

ქმგეგი. ფაქტეგი. მოვლენეგი

ჟურნალისტი ლაფს

ქენევა

უღიდესი მნიშვნელობის მოვლენა

8 აგვისტო. (საკდესი). დღეს გაზეთ „ლიბერასიონის" კომენტატორმა ბერნარ მეიერმა ატომსუფრაში, კოსმოსურ სივრცეში ატომური იარაღის აკრძალვის მოსკოვის ხელშეკრულების დადების 10 წლისთავზე. სხვადასხვა ქვეყნის თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, პრესა ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს ხელშეკრულება, რომლის მონაწილეთა რიცხვი ამჟამად მხოლოდ ორ ქვეყანას აღემატება, — დიდმნიშვნელოვანი წვლილია ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილების, განიარაღებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ხელშეკრულების ათი წლისთავი აღნიშნეს პეკინშიც — ოღონდ განსაკუთრებულ, ჩეკინურ ყაიდაზე. ჩინეთის სინპუას სააგენტომ ამასთან დაკავშირებით გააკრიტიკა კოსმენტარი, რომელშიც ამტკიცებს, რომ სამ გარემოში ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულება, რომელიც საყოველთაოდ არის მიჩნეული მშვიდობისმოყვარე ძალების დიდ წარმატებად, სხვა არა არის რა, თუ არა... „ხალხთა მოტყუებაო". შემდეგ სინჰუა აცხადებს, თითქოს საბჭოთა კავშირი, როგორც ხელშეკრულების დადების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი, ცდილობდეს მხოლოდ „ატომური მონოპოლიის დაცვას". ერთი სიტყვით, სინჰუას მთელი ხაწარმოები ისეთნაირადაა შეთხზული, რომ ქვეშ „პეკინი, აგვისტო" რომ არ ქრონდეს მიწერილი, კაცი იფიქრებდა, ეს „ცივიზმისდროინდელი" დასავლური პროპაგანდის პროდუქციის ნიმუშიაო. სწორედ დასავლეთის რეაქციული პრესა იყო, რომელიც დიდსანს ცდილობდა და ზოგჯერ ახლაც ცდილობს „მოსკოვის აგრესიულობაზე" ცილისმწამებელური მონაჭორების დახმარებით გაავრცელოს გამალებული შეიარაღება, წინააღმდეგ დაბალულობის შენელებას.

ცნობილია, რომ გამალებული შეიარაღება, მათ შორის ატომური შეიარაღება, მსოფლიოს იმპერიალისტურმა ძალებმა მოახვიეს თავს. მაგრამ სინჰუას სააგენტო, ეხება რა ისევ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, როგორიცაა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვა, სიტყვა „იმპერიალიზმს" არც კი ახსენებს. როგორც ჩანს, პეკინი ეფიდგება იმ სახელმწიფოთა ხელნებს, რომლებიც იმპერიალისტური სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების ორგანიზატორები არიან: მაგ სხვა რით შეიძლება აიხსნას, რომ სინჰუა კრინტსაც არა ძრავს ამ ბლოკების სამხედრო სამზადისზე? სამაგიეროდ ჩინეთის სააგენტომ გადაწყვეტა გაეთამაშა სოციალისტური ქვეყნები, რომლებიც თავიანთ თავდაცვითს პოტენციალს განამტკიცებენ. როგორც ჩანს, პეკინს ის კი არ აწუხებს, რომ დასავლეთის გარკვეული იმპერიალისტური წრეები ცდილობენ ხელი შეუშალონ გამალებული შეიარაღების შეკავებას, არაფერ ის, რომ საბჭოთა კავშირს, სხვა სოციალისტურ ქვეყნებს საკმაოდ აქვთ ძალები მშვიდობის შესანარჩუნებლად და დასამკვიდრებლად, სოციალიზმის მონაპოვართა დასაცავად. სინჰუას უტიფრობა იქამდე მივიდა, რომ ცდილობს „საფრთხედ" წარმოსახოს თვით საბჭოური დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გაშვება... აი, საუკეთესო დასაბუთებელი საბუთი იმისა, რომ მაოისტებს უპირველეს ამოცანად მიაჩნიათ არა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლა.

ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობა, რომელიც ისახავს ქვეყნის ატომური შეიარაღებისა და მილიტარიზაციის კურსს, უკვე კარგა ხანია ილაშქრებს განიარაღების ხელშეშფყობი ყოველგვარი ღონისძიების წინააღმდეგ. ამას მოწმობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის დელეგაციის ნეგატიური პოზიცია ყველა იმ წინადადების მიმართ, რომლებიც ამ ორგანიზაციის განსახილველად შეუტანიათ. სინჰუას უკანასკნელი კომენტარი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პეკინის პოზიცია განიარაღების საკითხებში ერწყმის ნატოს იმ წრეებისა და დასავლეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის იმ წარმომადგენლების შეხედულებებს, რომლებიც ჯიუტად ეწინააღმდეგებიან დაძაბულობის შენელებას, ილაშქრებენ სოციალიზმის ძალების წინააღმდეგ. ასეთი პოზიცია კომენტარს არ საჭიროებს. (საკდესი).

თანამშრომლობა სამოქალაქო ავიაციის დარგში

ვაშინგტონი

8 აგვისტო. (საკდესი კორ.). **სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის შეხვედრებმა საფუძველი ჩაუყარეს ხაბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების თანამშრომლობის ახალ ერას, განაცხადა ფედერალური საავიაციო ხამმართველოს ხელმძღვანელმა ა. ბატერფილდმა პრეს კონფერენციაზე გამოსვლის დროს.**

ა. ბატერფილდი ახლახან დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან, სადაც შეხვდა სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის მინისტრს ბ. პ. ბუგაიევსა და სხვა საბჭოთა ოფიციალურ პირებს საჰაერო ტრანსპორტის დარგში თანამშრომლობის შესაძლებლობათა განხილვისათვის. მან აღნიშნა, რომ ძირითადად, რომელსაც მოსკოვში აწარმოებდა, მომდინარეობდა „უაღრესად კარგ, გულთბილ და მეგობრულ ატმოსფეროში".

დიდი ტექნიკური პოტენციალის მქონე ორივე ჩვენს ქვეყანას, განაცხადა ა. ბატერფილდმა, სამოქალაქო ავიაციის დარგში, ბევრი საერთო პრობლემა და მისწრაფება აქვს.

ახლა, თქვა ა. ბატერფილდმა, როცა ჩვენმა ქვეყნებმა დაიწყეს საკავშირო და სხვა კონტაქტების გაფართოება, ეზრდება ტრანსპორტის და განსაკუთრებით სამოქალაქო ავიაციის როლი. ჩვენ შეეთანხმდით საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებთან, რომ ფრენის უშიშროებისა და საჰაერო ტრანსპორტის საიმედოობის ამაღლების საქმეში თანამშრომლობა შეესაბამება ჩვენი ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს.

ა. ბატერფილდმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა სამოქალაქო ავიაციის მიღწევებს, და კიდევ ზეგზეგრითს „ტუ-144" და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი „უაღრესად ენერგიულად და მეტად კომპეტენტურად უდგება" საჰაერო ტრანსპორტის პრობლემების გადაწყვეტას. დარწმუნებული ვართ, აღნიშნა მან, რომ ამ დარგში ინფორმაციის, ტექნოლოგიისა და საჭირო მოწყობილობის გაცვლა მეტად სასარგებლო იქნება ორივე ქვეყნისათვის.

ბრძოლა მკვეთრად გამწვავდა

სანტიაგო. 8 აგვისტო. (საკდესი). ჩილეს მთავრობა ენერგიულ ღონისძიებებს მიმართავს ქვეყნის ვითარების ნორმალიზაციისათვის. კანონგარეშე გამოაცხადეს საგზაო მანქანების მფლობელთა გაერთიანება, რომელიც ძირგამოთხრილ გაფიცვას განაგრძობს და. აწევა საბრალეს, ტერორისა და დივერსიის აქტების ინსპირირებას. იზრდება მომუშავე სატვირთო მანქანების რიცხვი, რომლებსაც სურსათი და პირველი საჭიროების საგნები მიაქვთ მოსახლეობისათვის. დედაქალაქში თანდათანობით გაქარდება საქალაქო ტრანსპორტის მუშაობა. მდგომარეობის ნორმალიზაციაში მთავრობას აქტიურად ეხმარება მრავალი მოხალისე მუშები, მოსამსახურეები, სტუდენტები.

პრესის ცნობებით, ქვეყნის ვითარების გამო პრეზიდენტმა ს. ალიენდემ მოაწყო თათბირი სახალხო ერთიანობის პარტიის ხელმძღვანელებთან, აგრეთვე შეხვდა არმიის სარდალს გენერალ პრატსსა და სამხედრო საჰაერო ძალების სარდალს გენერალ რუისს.

ფაშისტური ბანდები კვლავ მიმართავენ აშკარა ტერორს. მაგალითად, გუშინ ბანდიტებმა მოკლეს რკინიგზელი მუშა რობინსონ გუტერრესი, როცა იგი ცდილობდა ლიანდაგიდან ავიღო ტერორისტების მიერ ჩადებული დინამიტის მუხტი. ქალაქ კურიკოს რაიონში წუხელ ფაშისტებმა ააფეთქეს ნავთობსადენის მონაკვეთი.

ფეხბურთი

ლენინგრადელ-ტორპედოელები

გუშინ ლენინგრადელ-ტორპედოელთა ადგილობრივ „ლენინგრადსა" და თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა. ეს იყო მეტოქეების მეოთხე ასპარეზობა საკავშირო ჩემპიონატებში.

ამ მატჩში ბევრი საგოლე მომენტი შეიქმნა, მაგრამ ამაოდ. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 0:0.

მოსკოველმა არბიტრმა ვ. ყარაკოვმა დანიშნა 11-მეტრიანების სერია. მასპინძლებმა გამოიყენეს ხუთიდან ოთხი დარტყმა (ერთი ბოთი მოიგერია გოგიამ), დინამოელებმა კი — მხოლოდ ორი — 2:4. თბილისელებმა განიცადეს მე-8 დამარცხება.

ი ინ დინამელთა შემადგენლობა: გოგია, ძოძოშვილი, კანთელაძე, ვილიძე, ებრალიძე, ყიფიანი, ჯ. მარაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია (ა. მარაიძე), ლ. ნოდია (ფარეთელი).

სათადარიგო შემადგენლობათა მატჩშიც დიდი ანგარიშით — 5:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

ფეხბურთი

მატჩი ლენინგრადელ-ტორპედოელებს

გუშინ ლენინგრადელ-ტორპედოელებმა ადგილობრივ „ლენინგრადსა" და თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრა. ეს იყო მეტოქეების მეოთხე ასპარეზობა საკავშირო ჩემპიონატებში.

ამ მატჩში ბევრი საგოლე მომენტი შეიქმნა, მაგრამ ამაოდ. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 0:0.

მოსკოველმა არბიტრმა ვ. ყარაკოვმა დანიშნა 11-მეტრიანების სერია. მასპინძლებმა გამოიყენეს ხუთიდან ოთხი დარტყმა (ერთი ბოთი მოიგერია გოგიამ), დინამოელებმა კი — მხოლოდ ორი — 2:4. თბილისელებმა განიცადეს მე-8 დამარცხება.

ი ინ დინამელთა შემადგენლობა: გოგია, ძოძოშვილი, კანთელაძე, ვილიძე, ებრალიძე, ყიფიანი, ჯ. მარაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია (ა. მარაიძე), ლ. ნოდია (ფარეთელი).

სათადარიგო შემადგენლობათა მატჩშიც დიდი ანგარიშით — 5:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.



რეგბი

მასპინძლობენ რუმინელებს

თბილისელ რეგბისტებს სტუმრად ეწვია რუმინეთის ქალაქ სიბიუს შუშათა სპორტკლუბის გუნდი. გუშინ სტადიონზე წინასწარ თამაშობდა თბილისის „დინამო", რომელმაც გაიმარჯვა ანგარიშით 15:3.

რუმინელი რეგბისტები აშხანაგურ მატჩში ხვალ შეხვდებიან თბილისის „ლოკომოტივს".

გუშინ